სამი მატჩი

8 ოქტომბერს “დინამოს” სტადიონზე შესდგა ფეხბურთის სამი მატჩი. დილის 10 საათზე ასპარეზზე გამოვიდნენ თბილისისა და მინსკის დინამოელები. მათი შეხვედრა წინა დღეს უშედეგოდ დამთავრდა. მინსკელებმა განსაკუთრებული შეუპოვრობა გამოიჩინეს და თბილისელებმა ვერ შესძლეს ბურთის გატანა დამატებითს დროშიც კი. მატჩი რომელიც 120 წუთს გაგრძელდა, ხელახლა იქნა გათამაშებული. ამჯერად საქართველოს ფეხბურთელებმა უპირატესობას მიაღწიეს და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:0.

ამრიგად “თასის” გათამაშების სამი დღის შემდეგ გამოირკვა თუ ვინ იქნებიან მეოთხედ–ფინალის მონაწილენი მოსკოვის გუნდები – “ცდკა”, “დინამო”, “ტორპედო” და “სპარტაკი”, თბლისის “დინამო” და უჟგოროდის “სპარტაკი”. (საკდესი).

9 ოქტომბერი, 1946 წ.